



სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 მარტი, 2026 წელი

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/17

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის 2025 წლის ანგარიშის
დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, „ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (N327921, 18/03/2026 წ.), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 24 მარტის სხდომის №07-02/03 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის 2025 წლის ანგარიში N1 დანართის შესაბამისად და 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში N2 დანართის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი

ჯემალ კარალიძე

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 24 მარტის
N07-01/17 გადაწყვეტილების N1 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობის
2025 წლის ანგარიში

შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ“ ან „უნივერსიტეტი“), მისი 90-წლიანი არსებობის პერიოდში ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრად. უნივერსიტეტის მისიაა, უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, აღზარდოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება და ღირსეულად დაიმკვიდროს ადგილი როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

ბსუ თავის საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად. 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა განსაზღვრავს უნივერსიტეტის განვითარების ძირითად პრიორიტეტებს, რომლებიც ორიენტირებულია მისი ინსტიტუციური გაძლიერებისა და ხარისხობრივი ზრდის უზრუნველყოფაზე. აღნიშნული პერიოდისათვის გამოკვეთილია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები: უნივერსიტეტის სოციალური როლის ზრდა რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში; სტუდენტებისათვის თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული განათლების მიცემის უზრუნველყოფა; ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო კვლევების განხორციელება; სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტერნაციონალიზაცია; დამსაქმებელს, სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მკვლევარს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა და მათ შორის გამოცდილების გაზიარება; საზოგადოების მოთხოვნებისა და შრომის ბაზრის ინტერესების გათვალისწინებით, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განვითარება; უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება სწავლის, სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად; კარგად ორგანიზებული და ეფექტური აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის პროცესები. ბსუ-ს მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ამოცანების ეფექტიანად განხორციელებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის საბიუჯეტო პროცესს. იგი წარმოადგენს ბიუჯეტის, როგორც უნივერსიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტის, დაგეგმვის, მომზადების, დამტკიცების, შესრულებისა და ანგარიშგების ერთიან და თანმიმდევრულ სისტემას. საბიუჯეტო პროცესი წარმართება საქართველოს კანონმდებლობის, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად, აგრეთვე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის №07-01/59 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბიუჯეტის შედგენის წესის“ საფუძველზე.

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციაა უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის გზით. აღნიშნული ფუნქციის სრულფასოვანი განხორციელება მოითხოვს რესურსების ოპტიმალურ განაწილებას, რისკების სისტემურ შეფასებასა და საქმიანობის შედეგების მუდმივ მონიტორინგს. უნივერსიტეტის წარმატებული ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად

დამოკიდებულია ადმინისტრაციის ეფექტიან მუშაობასა და შედეგებზე ორიენტირებულ მართვაზე, რომლის კოორდინირებაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

წარმოდგენილი ანგარიში ასახავს ბსუ-ს ადმინისტრაციის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ საქმიანობას, მიღწეულ შედეგებსა და გამოწვევებზე რეაგირების მექანიზმებს. ადმინისტრაციის მუშაობა მთლიანად დაეფუძნა უნივერსიტეტის მისიასა და 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებს. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას, რესურსების მიზნობრივ და რაციონალურ განაწილებას, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას, აგრეთვე შიდა ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებას. ადმინისტრაციის საქმიანობა იყო შედეგზე ორიენტირებული და მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის აკადემიური და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობას, მართვის პროცესების ეფექტიანობის ზრდასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

უნივერსიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვების გეგმა

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ფინანსური რესურსები, რომელთა შედეგზე ორიენტირებული ხარჯვა გარკვეულწილად დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიუჯეტის პროგრამული პრინციპით დაგეგმვაზე, რომელიც უნივერსიტეტში 2022 წლიდან ხორციელდება.

ბსუ-ს 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტი დამტკიცდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის N07-01/69 გადაწყვეტილებით და დაიგეგმა პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპით. ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში ჩართული იყო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ: ფაკულტეტები, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (შემდეგში - კვლევითი ინსტიტუტები), პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდეგში - პროფესიული ცენტრი) და ბსუ-ს ადმინისტრაციის სხვა სტრუქტურები, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ წარმოედგინათ საბიუჯეტო განაცხადები საჭიროებების შესაბამისად.

ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების გადამუშავების შედეგად, ბიუჯეტის პროექტის შედგენისას უზრუნველყოფილი იქნა:

- ღონისძიებათა დაგეგმვა პრიორიტეტულ ჭრილში;
- ღონისძიებების/ხარჯების განხორციელების პასუხისმგებლობის გადანაწილება ფაკულტეტებს, კვლევით ინსტიტუტებსა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს შორის;
- ხარჯების დაგეგმვა ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობაში;
- პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვა დაფინანსების წყაროების მიხედვით;
- გამჭვირვალობის, ყოვლისმომცველობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების რეალიზება.

ყველა რგოლის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადის ანალიზის (შესაბამისობაშია ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმასთან), ურთიერთშეჯერების, კონსოლიდაციის და კლასიფიცირების საფუძველზე გამოიკვეთა ოთხი ძირითადი პროგრამა:

- ✓ ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა;
- ✓ უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება;
- ✓ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება;
- ✓ ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა.

პროგრამა „ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერა“ შედგება 12 ქვეპროგრამისაგან, რომელშიც წარმოდგენილია ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ღონისძიებების (ხარჯების) ერთობლიობა ავტონომიურობის პრინციპის დაცვით. აღნიშნულ პროგრამაშია ასევე, წარმოდგენილი შიდა საუნივერსიტეტო

მიზნობრივი დაფინანსების ქვეპროგრამა. ფაკულტეტების ჭრილში ქვეპროგრამათა დაგეგმვა და განხორციელება პირდაპირ კავშირშია ავტორიზაცია/აკრედიტაციის მოთხოვნებთან. ამასთან, ფაკულტეტი უშუალოდ ხდება ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი, რამდენადაც ღონისძიებები დაგეგმილია მისი ინიციატივით და მოსალოდნელი შედეგების მიღწევაში მას ხელს ადმინისტრაციული ბარიერები არ შეუშლის.

პროგრამა „უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება“ წარმოდგენილია ორი ქვეპროგრამით - საუნივერსიტეტო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა. ადმინისტრაციული მხარდაჭერის ქვეპროგრამაში გაერთიანებულია ის გარდაუვალი ღონისძიებები, რომელთა განხორციელება საერთო საუნივერსიტეტო საჭიროებებთანაა დაკავშირებული. მეორე ქვეპროგრამაში კი უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფაზე მიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობაა წარმოდგენილი, რაც სრულ წარმოდგენას აძლევს ბიუჯეტის მომხმარებელს ამ მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებსა და მისაღწევ შედეგებზე.

პროგრამა „უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარება“ მოიცავს ორ ქვეპროგრამას - IT ტექნოლოგიების განვითარებას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მიმდინარე/კაპიტალური სარემონტო სამუშაოების/მშენებლობების უზრუნველყოფას. პირველ ქვეპროგრამაში წარმოდგენილია ბსუ-ს კომპიუტერული ბაზის განახლებასთან და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებები, ხოლო მეორე ქვეპროგრამა მოიცავს ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესებასთან უშუალოდ დაკავშირებულ მოცულობით ხარჯებს.

პროგრამა „ბსუ-ს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა“ ითვალისწინებს სხვადასხვა სტუდენტური აქტივობის დაფინანსებას, სადაც ღონისძიებები წარმოდგენილია ორი ქვეპროგრამის სახით - საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა და კულტურული და სპორტული აქტივობების მხარდაჭერა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეპროგრამებში დაგეგმილ დეტალურ ხარჯებს/ღონისძიებებს განსაზღვრული აქვს მოსალოდნელი შედეგები და მათი გაზომვის თვალსაჩინო კრიტერიუმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის N07-01/69 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე შევიდა ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 05 მარტის N07-01/06, 19 მარტის N07-01/07 და 25 დეკემბრის N07-01/41 გადაწყვეტილებებით. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებით: N01-10/12, 13.02.2025 წ., N01-10/32, 11.04.2025 წ., N01-10/54, 14.05.2025 წ., N01-10/58, 27.05.2025 წ., N01-10/65, 04.07.2025 წ., N01-10/70, 08.08.2025 წ., N01-10/92, 11.11.2025 წ., N01-10/97, 27.11.2025 წ.).

პროგრამულად დაგეგმილი 2025 წლის ბიუჯეტის საფუძველზე, შედგა ბსუ-ს 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ყველა პროგრამითა და ქვეპროგრამით დაგეგმილი ხარჯების/ღონისძიებების კონსოლიდაცია. შესყიდვის საშუალებები დაჯგუფდა დაფინანსების ოთხი წყაროს (საკუთარი შემოსავლები, აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი და გრანტები) მიხედვით, რაც შესყიდვების გეგმაზომიერ და მოქნილ განხორციელებას უზრუნველყოფს.

ბსუ-ს 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 20 ნოემბრის N01-10/103 ბრძანებით. წლიური შესყიდვების გეგმა შეიცვალა რამდენჯერმე (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის: N01-10/03, 16.01.2025 წ., N01-10/24, 06.03.2025 წ., N01-10/28, 27.03.2025 წ., N01-10/51, 02.05.2025 წ., N01-10/55, 14.05.2025 წ., N01-10/59, 27.05.2025 წ., N01-10/69, 28.07.2025 წ., N01-10/71, 08.08.2025 წ., N01-10/84, 21.10.2025 წ., N01-10/98, 27.11.2025 წ., ბრძანებებით), რაც განპირობებული იყო ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით და სხვა გარდაუვალი საჭიროებებით. **ბსუ-ს 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტი** დაფინანსების წყაროებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების ჯამური თანხის გათვალისწინებით შეადგენდა **40,104,488.00 ლარს**, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების წლიური (2025 წელი) გეგმა - **9,074,677.00 ლარს**.

2025 წლის უნივერსიტეტის განვითარების მიზნობრივი პროექტები და მიღწეული შედეგები

საანგარიშო პერიოდში პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში მობილიზებული რესურსები მიზნობრივად მიმართული უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებზე. განხორციელებულმა პროექტებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სწავლებისა და კვლევის ხარისხის ზრდას, ორგანიზაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებასა და უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების განხორციელებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი ღონისძიებები:

ინფრასტრუქტურული ღონისძიებები:

ბსუ-ს შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობის სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის გამოცხადებულ №NAT250001065 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, 2025 წლის 7 თებერვლის №31 ხელშეკრულების ფარგლებში, მოამზადა 21999,82 ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესყიდვა:

- აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით ბსუ-ს პირველი კორპუსის (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი) ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა ფასადის ზედაპირებისა და კოლონების გაწმენდა-აღდგენას, დაზიანებული ნაღესისა და დეკორატიული ელემენტების რეაბილიტაციას, ორჯერად მაღალხარისხიან შეღებვას, შესასვლელისა და ზემირკვლის მოწესრიგებას, წყალშემკრები სისტემისა და ფასადის განათების სარეაბილიტაციო სამუშაოებს. №NAT250008258 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, 2026 წლის 13 ივნისის №200 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში, შეასრულა 454468.17 ლარის ღირებულების სამუშაოები, მაშინ როცა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული თანხა შეადგენდა 630460,00 ლარს.
- აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით, №NAT250009082 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის (მე-5 კორპუსი) შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, 2025 წლის 2 ივლისის №228 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში, შეასრულა 259569.76 ლარის ღირებულების სამუშაოები: 1982,40 მ² ფართობზე მოეწყო სახურავის ხის კონსტრუქციები და შეფიცვრა, დაიგო 0,48 მმ სისქის ფერადი პროფილური თუნუქის საფარი, მოეწყო პერიმეტრისა და კეხის შეფუთვა, დამონტაჟდა წყალშემკრები სისტემა (ღარები, მილები და ძაბრები). საპროექტო-

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით აღნიშნული სამუშაოებისათვის განსაზღვრული იყო 396840,00 ლარი.

- საკუთარი შემოსავლებისა და აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის თანადაფინანსებით, №NAT250011914 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა ბსუ-ს შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობის სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა. ტენდერში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა 2025 წლის 13 აგვისტოს №257 ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულა ჯამურად 231201.74 ლარის ღირებულების სამუშაოები, მათ შორის: აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის შენობაში განხორციელდა შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (იატაკის მჭიდრების მოწყობა, კედლების შეფითხვა-შეღებვა, ჭერების დამონტაჟება, ელექტროსამონტაჟო, წყალსაკანალიზაციო და სახანძრო სისტემების დაყენება, ფარდულის სახურავის მოწყობა, ჭიშკრის მონტაჟი და სხვა) ღირებულებით 83927,82 ლარი; პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შენობაში შესრულდა შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (კედლებისა და ჭერების შეღებვა, ლამინატის ფილების მონტაჟი, ელექტრო და წყალსაკანალიზაციო სისტემები), სამანქანე შესასვლელი მოსწორდა ღორღით, მოეწყო ღობე ჭიშკრით და გარე განათება - ჯამში 98368,38 ლარის სამუშაოები; სტუდენტთა საცხოვრებლის ეზოში მოეწყო გარე განათება ღირებულებით 42024,48 ლარი, ხოლო რუსთაველის ქუჩის მხრიდან მე-2 კორპუსის ფასადზე შეიცვალა 25 მ² დაზიანებული ვიტრაჟის მინაპაკეტი ღირებულებით 6881,06 ლარი.

საკუთარი შემოსავლებით დაფინანსების ფარგლებში, №NAT250013613 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში შესყიდულია ბსუ-ს I, II და III კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ, 2025 წლის 05 სექტემბრის №275 ხელშეკრულების ფარგლებში, სულ შესრულებულია 353396,05 ლარის სამუშაოები, მათ შორის: მე-3 კორპუსის სადარბაზოსთან შესასვლელში ჩატარდა საჩეხის აღდგენის სამუშაოები, აივნებზე მოეწყო ცემენტის მჭიმი ჰიდროიზოლაციით, ოთახებსა და კორიდორებში აღდგენილია დაზიანებული ნაღესი, რომლებიც შემდგომში დამუშავდა და შეიღება მაღალი ხარისხის საღებავით. მე-2 კორპუსში ჩატარდა კედლების დამუშავება და შეღებვა წყალემულსიური საღებავით, იატაკებზე მოეწყო ცემენტის მჭიმი და კერამოგრანიტის ფილები, აღდგენილია დაზიანებული შეკიდული ჭერი, ფანჯრებზე მოეწყო მექანიკური ფარდა ჟალუზები. სრულად გარემონტდა I კორპუსში არსებული სააქტო დარბაზი, სადაც მოეწყო 198,00 მ² ჰეტეროგენური PVC იატაკის საფარი, სკამებზე სრულად შეიცვალა ქსოვილის გადასაკრავი (ჩიხოლები), გარემონტდა დერეფანი, საგრძობი და გამოსაცვლელი ოთახები. ლეონიდის ქუჩაზე არსებულ სტუდენტთა საცხოვრებელში შეიცვალა 135,00 მ² ლამინატის პარკეტის ფილა.

საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მატერიალურ-ტექნიკური განვითარების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები:

ბიბლიოთეკის ფუნქციონირების და განვითარების დაფინანსება ბსუ-ს ბიუჯეტში მნიშვნელოვანი მიმართულებაა. **საბიბლიოთეკო რესურსების განვითარებისთვის**, მათ შორის სამეცნიერო და სასწავლო სახელმძღვანელო წიგნადი ფონდის სრულყოფის

მიზნით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 171416 ლარი, ხოლო საბიბლიოთეკო პროგრამების (საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა) შესყიდვაზე დახარჯულია 4400,00 ლარი.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და სასწავლო-ლაბორატორიული მეცადინეობების საჭიროებებისათვის შესყიდულია 612000.00 ლარის ღირებულების ლაბორატორიული აღჭურვილობა და სამედიცინო მოწყობილობები, სამედიცინო სახარჯი მასალები და პროდუქტები, სტომატოლოგიური მასალები, ქიმიური და ლაბორატორიული რეაქტივები, ასევე ლაბორატორიული კვლევითი მომსახურებები (დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით).

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, შეძენილია 741398.00 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა (მათ შორის: მაგიდის კომპიუტერები (დესკტოპები), ე.წ. ლეპტოპები, მრავალფუნქციური ლაზერული პრინტერები და ინტერაქტიური ეკრანები და სხვა), ქსელური მოწყობილობები, აუდიო, ვიდეო სისტემები და აქსესუარები, სხვადასხვა სახის პროგრამული პაკეტები.

ავეჯის განახლებისათვის წლის განმავლობაში, ელექტრონული ტენდერების ფარგლებში შესყიდულია 152201.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საოფისე და სასწავლო ავეჯი.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში მაღალ დონეზე ჩატარდა უკვე ტრადიციად ქცეული **სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე IV“**, რომლის ფარგლებში შესყიდულია 42236,20 ლარის ღირებულების საქონელი და მომსახურება, მათ შორის კონფერენციის ფარგლებში გასამართი სამეცნიერო პიკნიკისათვის შეძენილია 40 ცალი კარავი.

სამეცნიერო კვლევების განხორციელებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტით ყოველწლიურად გამოიყოფა ფინანსური რესურსი. ამ მხრივ აღსანიშნავია **შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება**, რომლისთვისაც საანგარიშო წელს გათვალისწინებულია 481382.00 ლარის დაფინანსება. ამასთან, პროექტების განხორციელების მიზნით გაწეულმა ხარჯმა, ჯამურად შეადგინა 190186,07 ლარი, რომელიც ბსუ-ს საკუთარის შემოსავლების გარდა დაფინანსდა აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებით.

საგრანტო პროექტების დაფინანსებების ფარგლებში 2025 წლის განმავლობაში ჯამურად შესყიდულია 3 323 139,35 ლარის ღირებულების საქონელი და მომსახურება.

ქვეპროგრამების კრილში განხორციელებული ძირითადი ღონისძიებების მიმოხილვა

წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია ქვეპროგრამების კრილში განხორციელებული ძირითადი ღონისძიებებისა და აქტივობების მიმოხილვა საანგარიშო წლის განმავლობაში. ინფორმაცია ასახავს შესაბამისი მიმართულებებით განხორციელებულ საქმიანობას და მიღწეულ შედეგებს:

- **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა. ორგანიზებულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება 2025“; რომელმაც ხელი შეუწყო აკადემიურ და პროფესიულ წრეების შორის გამოცდილების გაზიარებასა და თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციების განხილვას. ამასთან, განახლდა ფაკულტეტის საოფისე ავეჯი და სასწავლო ლიტერატურა, რაც აუმჯობესებს სასწავლო გარემოს ხარისხს. შეძენილი იქნა კომპანია Flexsim-ის მიერ შექმნილი ბიზნეს ანალიზის პროგრამული პაკეტი „ბიზნეს პროცესის

სიმულაციური თამაში“, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებულ, ინოვაციურ მიდგომებს. დამატებით, სალექციო აუდიტორია აღიჭურვა თანამედროვე პერსონალური კომპიუტერებით, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობას კიდევ უფრო ზრდის.

- **ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის** საჭიროებების უზრუნველსაყოფად განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. შეძენილია თანამედროვე საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა, ასევე სპორტული ინვენტარი და სასწავლო სახელმძღვანელოები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსდა მათი მონაწილეობა სხვადასხვა საგანმანათლებლო ოლიმპიადაში, რითაც შეიქმნა დამატებითი შესაძლებლობები ცოდნის გაღრმავებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის.
- **იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ფაკულტეტის ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო რესურსების გაძლიერება. შეძენილია საოფისე ავეჯი და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა, ასევე განახლდა სასწავლო სახელმძღვანელოები და ლიტერატურა. სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით დაფინანსდა მათი მონაწილეობა საგანმანათლებლო ღონისძიებაში - იმიტირებულ სასამართლო პროცესები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოში გამოყენებას და პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას.
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის** ქვეპროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში მნიშვნელოვნად განახლდა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ლაბორატორიებსა და კათედრებზე უზრუნველყოფილია თანამედროვე ლაბორატორიული აპარატურისა და დანადგარების, ქიმიური და სხვა სახის რეაქტივების, ასევე სამედიცინო სახარჯი მასალებისა და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო და კვლევითი პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, დაფინანსდა სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო, საველე/საწარმოო პრაქტიკა, რაც სტუდენტებს პრაქტიკული უნარების გაღრმავების შესაძლებლობას აძლევს, ასევე გამოიცა სასწავლო სახელმძღვანელოები, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობას ზრდის.
- **ტექნოლოგიური ფაკულტეტის** ქვეპროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი მიმართულია ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისკენ. დაფინანსების ფარგლებში შეძენილია თანამედროვე ლაბორატორიული მოწყობილობების, სახაზავი/სახატავი ხელსაწყოების, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო დანიშნულების ხელსაწყო/მოწყობილობები, პროგრამული ლიცენზიები, ასევე განახლდა საოფისე ავეჯი და სასწავლო ლიტერატურა. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც პრაქტიკული სწავლების ეფექტიანობას, ისე სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას.
- **ტურიზმის ფაკულტეტზე** განახლდა და შეივსო ფაკულტეტის საოფისე ავეჯი და სპეციალიზებული ლიტერატურა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს

როგორც ადმინისტრაციულ, ისე სასწავლო გარემოს. ფაკულტეტის სტუდენტებმა წარმატებით გაიარეს სასწავლო/საველე პრაქტიკა საზღვარგარეთ, რითაც მიეცათ შესაძლებლობა, გაეღრმავებინათ პროფესიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები და გაცნობოდნენ საერთაშორისო სტანდარტებს ტურიზმის სფეროში. სასწავლო კურსის „სპეციალურ ღონისძიებათა მართვა“ ფარგლებში გაიმართა წლის შემაჯამებელი ღონისძიება „საახალწლო განწყობა და პროფესიული პრაქტიკა“. ღონისძიების კონცეფცია ეფუძნებოდა თანამედროვე საგანმანათლებლო პრინციპს „ვსწავლობთ გართობით“, რაც ითვალისწინებს სწავლების ინოვაციურ, ინტერაქტიულ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ მიდგომას. ამასთან, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) დაფინანსებით განხორციელდა მიზნობრივი აქტივობები, რომლებიც მიმართული იყო აკადემიური თანამშრომლობის გაძლიერების, პროფესიული განვითარების და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობისკენ.

- **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის** ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიებები: „დიגיტალური ქართველოლოგიის XIV საერთაშორისო საზაფხულო სკოლა“ და „ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების კვლევა ციფრულ ეპოქაში - მეთოდები, ინსტრუმენტები, სტრატეგიები“, ღონისძიებებმა თავი მოუყარა ქართველოლოგიის სფეროში მოღვაწე ადგილობრივ და უცხოელ მკვლევრებს, ახალგაზრდა მეცნიერებსა და სტუდენტებს, ხელი შეუწყო სამეცნიერო დიალოგის გაღრმავებასა და თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტების ინტეგრირებას ჰუმანიტარულ კვლევებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად განახლდა და შეივსო ფაკულტეტის წიგნადი ფონდი, რაც აუმჯობესებს სასწავლო და სამეცნიერო რესურსებზე ხელმისაწვდომობას. განხორციელდა ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში ინდექსაცია და მისი ასახვა შესაბამის პლატფორმებზე, რაც ზრდის გამოცემის ხილვადობასა და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციის ხარისხს. ასევე, უზრუნველყოფილ იქნა სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის ორგანიზება, რაც ხელს უწყობს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროფესიული გამოცდილების დაგროვებას.
- **პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის** მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროფესიული პროგრამების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავდა სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას, პროგრამების ხარისხის ამაღლებასა და პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. შესყიდული რესურსები მოიცავდა როგორც მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, ისე სხვადასხვა სახის მომსახურებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას, პრაქტიკული კომპონენტების სრულფასოვან განხორციელებას და მსმენელთა პროფესიული უნარების განვითარებას.
- ბსუ-ს პროგრამული ბიუჯეტით უზრუნველყოფილია **დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების)** სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების დაფინანსება. დაფინანსება მოიცავს ლაბორატორიების აღჭურვას და ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სამეცნიერო ნაშრომების გამოცემის ხელშეწყობას, აგრეთვე სხვა საჭირო


აქტივობებს, რაც ხელს უწყობს კვლევითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, ინოვაციური იდეების განვითარებასა და შედეგების ფართო საჯარო გავრცელებას.

უზრუნველყოფილია ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რაც მოიცავს კონფერენციებს, სიმპოზიუმებსა და კვლევით სემინარებს ქვეყნის გარეთ (უცხოეთში). აღნიშნული ღონისძიებები საშუალებას აძლევს პერსონალს გააცნოს საკუთარი კვლევები საერთაშორისო აუდიტორიას, დაამყაროს პროფესიული კავშირები და გაცვალოს გამოცდილება. დაფინანსდა პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები (კვალიფიკაციის ამაღლების/ტრენინგების გავლის/კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ) როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. მაღალკვალიფიციური პერსონალის შენარჩუნებისა და მოტივაციის გაზრდის უზრუნველსაყოფად, „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიების გამოქვეყნების წახალისების წესის“ საფუძველზე უზრუნველყოფილია თანამშრომლების ფინანსური წახალისება. ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად, ბსუ-ს საგანმანათლებლო პროცესში გამოსაყენებლად მომზადებული და სახელმძღვანელოდ აღიარებული ნაშრომის გამოცემის მიზნით.

- მნიშვნელოვანია **ბსუ-ს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის** პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტური ცხოვრების მრავალმხრივ განვითარებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული, შემოქმედებითი, კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ინტერესების გამოვლენასა და მათი პოტენციალის რეალიზებას. სტუდენტური საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა 5 სტუდენტური პროექტი, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოიყო 50000.00 ლარი. აღნიშნულმა პროექტებმა ხელი შეუწყო ინოვაციური იდეების განხორციელებას, გუნდური მუშაობის განვითარებასა და კვლევითი უნარების გაღრმავებას. ასევე, სრულად უზრუნველყოფილი იქნა კურსდამთავრებულთა გაცილების და პირველკურსელთა მიღების (დახვედრის) ღონისძიებებთან დაკავშირებული საორგანიზაციო და ტექნიკური საჭიროებები, რაც ქმნის ერთიან, პოზიტიურ და მოტივირებულ საუნივერსიტეტო გარემოს. ჩატარდა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია და გამოიცა ნაშრომთა კრებული, რითაც სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა წარმოედგინათ საკუთარი კვლევები და ჩართულიყვნენ აკადემიურ დისკუსიაში. დამატებით, მაღალი რგოლის მენეჯერების მონაწილეობით გაიმართა სამოტივაციო ლექციები და მასტერკლასები, რომლებმაც სტუდენტებს გაუზიარეს პროფესიული გამოცდილება, კარიერული განვითარების ხედვები და პრაქტიკული რჩევები წარმატების მისაღწევად. პროგრამის ფარგლებში ასობით სტუდენტზე გაიკა სახელმწიფო და სახელობითი სტიპენდიები, რაც წარმოადგენს მათი აკადემიური მიღწევების აღიარებასა და წახალისებას. აღნიშნული მხარდაჭერა ხელს უწყობს მაღალი აკადემიური მოსწრების შენარჩუნებას, მოტივაციის ზრდას და სტუდენტთა პროფესიულ განვითარებას.

2025 წელს ბსუ-ს მიერ რეაბილიტირებული სივრცეები



















ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების როლი ინსტიტუციურ განვითარებაში

იურიდიული დეპარტამენტი

ბსუ-ში შემოსული კორესპონდენციის და უშუალოდ იურიდიულ დეპარტამენტში მომზადებული ან/და სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი პროექტების და-მუშავების/ რედაქტირების საფუძველზე მომზადებულია /რედაქტირებულია/ შეთანხმებულია ან/და ვიზირებულია:

2025 წელს გამოცემული ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სულ 3462 ბრძანება; აკადემიური საბჭოს 193 დადგენილება და წარმომადგენლობითი საბჭოს 43 გადაწყვეტილება.

იურიდიული დეპარტამენტის პერსონალის უშუალო ჩართულობით მომზადდა:

- უნივერსიტეტის წერილები /გასული კორესპონდენცია- 571 წერილი;
- სამსახურებრივი ბარათები - 343 ბარათი;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები - 99;
- განახლდა ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი 2024-2026 სასწავლო წლისათვის (სულ 18 თავარი);
- განახლდა ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთა გზამკვლევი (2025 წლის ბოლოს) (სულ 10 თავი)
- ბსუ-ს სამართლებრივი აქტების სისტემატიური კოდიფიცირება და ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება/ჩანაცვლება;
- საკონსულტაციო საქმიანობა-დეპარტამენტი ახორცილებდა ბსუ-ს 7 ფაკულტეტის, 3 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, პროფესიული პროგრამების მართვის უწყვეტი განათლების ცენტრის და ბსუ-ს ადმინისტრაციის სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საკონსულტაციო მომსახურებას და ბსუ-ს მართვის ორგანოებისა და სტრუქტურების სამართლებრივ მხარდაჭერას;
- უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების მიზნით მომზადდა სხვადასხვა სამართლებრივი აქტი, მათ შორის განახლდა სტრუქტურული ერთეულების პერსონალის ფუნქციათა აღწერილობები; პერსონალის სამსახურში მიღების და აფილირების წესი და სხვა რეგულაციები/ საავტორიზაციო დოკუმენტაცია;
- 2026 წელს საქმისწარმოება გაგრძელდება (წინასასამართლო/შეთანხმების /სასამართლო/საადსრულებო წარმოების ეტაპებზე) სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სულ 1645 პირზე (აქტიური სტუდენტი, კურსდამთავრებული, სტატუსშეწყვეტილი და სტატუსშეჩერებული სტუდენტები).
- 2026 წელს გაგრძელდება სასამართლო საქმისწარმოება: 10 სასამართლო დავაზე (გარდა სტუდენტთა სწავლის საფასურის დავალიანების საქმეებისა), რომელშიც ბსუ წარმომადგენს მოპასუხე მხარეს.

სამეცნიერო კვლევების სამსახური

სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ 2025 წელს განხორციელდა:

- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო თემის დამტკიცება;
- სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თემის ცვლილება;
- სწავლის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანა;
- სემინარების, კოლოქვიუმების, წინასწარი დაცვის მონიტორინგი;
- უცხოელი ექსპერტისათვის პარამეტრების მიხედვით შემოწმებული რეფერატები გადაიგზავნა და ხელშეკრულებები გაფორმდა;
- 16 უცხოელი შემფასებლისათვის ჰონორარის გადარიცხვის ორგანიზება და ბრძანება მომზადება;
- 48 ადგილობრივი შემფასებლები იქნა მოწვეული;
- 16 დოქტორანტთა სამეცნიერო სტატიები დამოწმდა;
- 48 ბრძანებების შექმნის მონიტორინგი განხორციელდა დოქტორანტთა სემინარების, სადისერტაციო კომისიის, შემფასებელთათვის თანხის გადარიცხვის და დოქტორის დიპლომის გაცემის;
- 16 დისერტაციის საჯარო დაცვაზე დასწრება და მონიტორინგი;
- 10 დისერტაცია გაიგზავნა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რეფერატები, დოქტორანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- 12 დოქტორანტი დაფინანსდა საგრანტო კონკურსი- ახალგაზრდა მეცნიერებისთვის.
- ავტორიზაციის დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობის მიღება;
- სამეცნიერო პიკნიკი 2025-ის ორგანიზება;
- შიდა მიზნობრივი გრანტების ინსტიტუციური მხარდაჭერა;
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ინსტიტუციური მხარდაჭერა;
- ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების თაობაზე პროცესის ორგანიზაციული მხარდაჭერა და გამოსაცემი პროექტების მომზადება;
- უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის ორგანიზება და ჩატარების, პროექტების განხორციელების/ცვლილებების ორგანიზაციული მხარდაჭერა და გამოსაცემი პროექტების მომზადება;

2025 წელს ორგანიზება გაეწია 2024-2025 წლის მონაცემების შეტანას დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულებისა და სამეცნიერო პირების მონაცემთა ბაზაში.

ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“- ს მიხედვით შეფასდა:

- 1287 სამეცნიერო ნაშრომი;
- 1036 სამეცნიერო ღონისძიება;
- 109 მონოგრაფია;
- 156 გრანტი (მიმდინარე);
- 65 გრანტი (წარდგენილი)

- 1 გამოგონება;
- 2735 სხვა აქტივობები.

2025 წელს მომზადდა ნორმატიული დოკუმენტები:

- დოქტორანტურის დებულება;
- სადისერტაციო საბჭოს დებულებები ფაკულტეტების მიხედვით;
- ციტირების და ბიბლიოგრაფიის წესი (APA)
- წახალისების წესი;
- საგრანტო კონკურსში ბსუ-ს განაცხადის წარდგენისა და საგრანტო ხელშეკრულების ადმინისტრირების წესი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარსადგინად შესწავლილი და გასწორები იქნება 31 დეპარტამენტის და 3 კვლევითი ერთეულის ანგარიში;

მუდმივად ხორციელდება ელექტრონული ბაზების განახლება:

- დოქტორანტთა ბაზა/ ნაშრომების ბაზა;
- პროფესიული და საგრანტო მივლინებების ბაზა;
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტების ბაზა;
- ბსუ-ს მიზნობრივი პროექტების ბაზა; Capacity Building-ის ბაზა;
- „ჰორიზონტი“-ს ბაზა;
- სამეცნიერო ბაზებში გამოქვეყნებული სტატიების ბაზა;
- სტატიების გამოქვეყნებისთვის მიღებული ჯილდოს ბაზა;
- სამეცნიერო ღონისძიებებში დაფინანსებული პირების ბაზა;
- მეცნიერებათა აკადემიის შეფასებების ბაზა.

მოქმედებს და მუდმივად ახლდება ვებგვერდი:

- დოქტორანტის გზამკვლევი;
- ინგლისურენოვანი გვერდი;
- ბიბლიოგრაფიისა და ციტირების წესის გზამკვლევი.

სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

- საანგარიშო პერიოდში სტრატეგიული განვითარების მიმართულებით განხორციელდა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული აქტივობები:

მიღებული შენიშვნების განხილვა, ავტორიზაციის საბჭოსთვის პასუხების მომზადება, რაც აისახა საერთო საუნივერსიტეტო დოკუმენტში; საანგარიშო პერიოდში სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მასალების (ანგარიშები, ოქმები) მოწესრიგება/შედგენა;

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრისთვის, დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, დახმარების გაწევა: საანგარიშო პერიოდში სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მასალების (ანგარიშები, ოქმები) მიწოდება; სამუშაო სხდომების მუშაობაში მონაწილეობა;

- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, დეპარტამენტში საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი საინტერესო ღონისძიება:

InfoDay – წელიწადში ორჯერ, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დაწყებისთანავე, სააქტო დარბაზში შედგა ბსუ-ს სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრები, მათთვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების გაცნობა, აპლიკაციის შედგენის და წარდგენის პროცედურების განმარტება და ა.შ.

საერთაშორისო მობილობის კონკურსები გამოცხადდა სემესტრულად, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის (**Outgoing Students and Staff**), გამოვლინდნენ გამარჯვებული კანდიდატები, 2024-2025 წ.წ. ბსუ-დან ევროპის უნივერსიტეტებში მობილობით წავიდა სულ **სტუდენტი - 64 სტუდენტი** (ერასმუს+ **47**)(აჭარის განათლების სამინისტროს დაფინანსებით **17**) - **outgoing პერსონალი: 50 პერსონალი** (28-აკადემიური; 22-ადმინისტრაციული)-outgoing

- ბსუ-ში საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით ჩამოსული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის (**Incoming Staff**) ვიზიტების ორგანიზება: მათი მობილობის საორგანიზაციო საკითხების მოგვარება: წინასწარი მიმოწერა, შესაბამის ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებთან დაკავშირება, მობილობის ხელშეკრულებების მომზადება; სხვადასხვა კულტურული ღონისძიების ორგანიზება.

2024-2025 წწ ბსუ-ში უცხოეთის უნივერსიტეტებიდან მობილობით ჩამოვიდა სულ **46 პირი (incoming) პერსონალი: 46 მობილობიდან, 24 პირი დაესწრო საერთაშორისო კვირეულს** (საერთაშორისო კვირეულის ჩათვლით); **სტუდენტი: 13 ჩამოვიდა ბსუ-ში (incoming)**

- ახალი საერთაშორისო პარტნიორების მოზიდვის მიზნით ჩატარდა **VI საერთაშორისო კვირეული** (10-14 ივნისს), რომელსაც 10 ქვეყნის პოლონეთის, ბულგარეთის, გერმანიის, ჩრდილოეთ მაკედონიის, ჩეხეთის, სლოვენის, საფრანგეთის, ისრაელის, მალტის, ლიეტუვას, საბერძნეთის 12-მდე უნივერსიტეტის 20-მდე წარმომადგენელი დაესწრო; ბსუ-ში ერასმუს+ VI საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, 12 ივნისს, უცხოელი პარტნიორებისა და ბსუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი ერთობლივი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების,

მოქმედი საკანონმდებლო ბაზისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ, ასევე, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მალტის MED.E.A-ს შორის, თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა ასევე პოლონეთის 3 უნივერსიტეტთან: State University of Applied Sciences in Koszalin; University of Applied Sciences in Wałcz; Academy of Physical Education and Sport of Gdansk.

2024-2025 წწ.-ში უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ამ ეტაპზე 197 მოქმედი მემორანდუმი 34 ქვეყნის საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან;

ხოლო საქართველოს ინსტიტუციებთან (უნივერსიტეტები, სკოლები, ბაღები, სამინისტროები, სააგენტოები, ცენტრები, სხვადასხვა ორგანიზაცია და კომპანიები) - **163-**მდე ხელშეკრულება, სულ ამ ეტაპზე 450 მოქმედი ხელშეკრულებაა გაფორმებული;

- საერთაშორისო მობილობა, ძირითადად, ხორციელდება ინტერინსტიტუციური ხელშეკრულებების საფუძველზე - **IIA**, რომელიც ბოლო წლების მანძილზე 50-მდე არის გაფორმებული.
- 2024-2025 სასწავლო წელს, ჩვენი დახმარებით, **15-მდე უცხოეთის მოქალაქე** ჩაირიცხა ბსუ-ში.
- 2024-2025 წწ ბსუ-ს სტუმრობდა მაღალი რანგის დელეგაციები, განხორციელდა დელეგაციების მიღება-მასპინძლობის ორგანიზება, მათთვის ბსუ-ს შესახებ ინგლისურენოვანი პრეზენტაციის წარდგენა.
- სადრულდა მუშაობა ბსუ-ს გაცვლით პროგრამებში მონაწილე კურსდამთავრებულთა - **Alumni - ასოციაციის შექმნა.**
- 2024-2025 წლებში ბსუ-ს მონაწილეობით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური განვითარების (CBHE და სხვ., ასევე 3-ჟან მონეს) **17 გამარჯვებული, მოქმედი** პროექტია (PRESS, ETHICS, LISS, DeSIRE, HEAL, OPTIFY, EDAGA, EU-AGM, SECURE, Green Engine და სხვ.)
- 2025 წლის კონკურსისთვის, დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით, ბსუ-ს მონაწილეობით **20-მდე ახალი პროექტია** წარდგენილი.
- დეპარტამენტის ინიციატივით შევიტანეთ პროექტი იაპონიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში - READ JAPAN PROJECT - რომელმაც გაიმარჯვა და იაპონიის საელჩო გადმოგვცემს 100-მდე წიგნს.
- რეგულარულად თავსდება ინტერნაციონალიზაციის ამსახველი ინფორმაცია და სიახლეები უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
- დეპარტამენტი ყოველდღიურად ათეულობით კორესპონდენციას იღებს , ამუშავებს და რეაგირებს.
- დეპარტამენტი აწარმოებს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობების სტატისტიკას ონლაინ.

სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი

2025 წელს დეპარტამენტის მიერ სტუდენტებისათვის მომზადდა:

- 598-მდე ცნობა სხვადასხვა სტუდენტურ აქტივობაში მონაწილეობის შესახებ.
- 100-მდე საპასუხო წერილი სტუდენტთა განცხადებებზე.
- 700-მდე სატელეფონო კავშირით რეაგირება განხორციელდა სტუდენტთა განცხადებაზე.

სტუდენტთა კარიერული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა:

- 20-მდე საინფორმაციო შეხვედრა დამსაქმებლებთან,
- „დასაქმების ფორუმი 2025“ დაესწრო 300-მდე ბსუ-ს სტუდენტი,
- დასაქმების ფორუმი 2025 – „დაიწყე წარმატებული კარიერა სასტუმრო ინდუსტრიაში“ დაესწრო 200-მდე ბსუ-ს სტუდენტი,
- ჩატარდა 3 საჯარო ლექცია-მასტერკლასი, რომლებსაც 500-მდე სტუდენტი დაესწრო: თემაზე:
 - „წარმოჩენის ხელოვნება — როგორ იპოვო შენი ადგილი შრომის ბაზარზე“
 - საჯარო ლექცია თემაზე - „გარემო და ადამიანი“;
 - საჯარო ლექცია თემაზე - „თვითშეფასება ბავშვებსა და მოზარდებში“.
- სტუდენტური პროექტების კონკურსი - ორგანიზება და კონტროლი (მიღებული 21 საპროექტო განაცხადი, დაფინანსდა-7 სტუდენტური პროექტი, საერთო ბიუჯეტით 49 652 ლარი,
- Erasmus+ ProMent პროექტის ფარგლებში ჩატარდა პროფესიული უნარების განვითარების ტრენინგი.
- დეპარტამენტის ორგანიზებით და ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა ფორუმი "გაეროს ახალგაზრდული კვირეული", სადაც ბსუ-ს 50 მდე სტუდენტი მონაწილეობდა
- სტუდენტური კონფერენციის ორგანიზება (დარეგისტრირდა 500-მდე სტუდენტი, 28 სექციაში გამოვლინდა და შესაბამისი სერტიფიკატებითა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდა 83 სტუდენტი.);
- 2025 წელს გაიმართა ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში 31 სექციაში გამოვლინდა და შესაბამისი სერტიფიკატებითა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდა 114 სტუდენტი.
- 2025 წელს დეპარტამენტის მხარდაჭერით სტუდენტურმა კლუბებმა განახორციელეს შემდეგი აქტივობები:
 - სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ბსუ - კლუბი აერთიანებს ბსუ-ს ყველა ფაკულტეტის 60-მდე სტუდენტს. კლუბი აქტიურად იყო ჩართული სტუდენტური კონფერენცია 2025-ს ორგანიზებაში.
 - დეპარტამენტის მხარდაჭერით სტუდენტურმა კლუბებმა განახორციელეს აქტივობები:

- **რა? სად? როდის?-** ჩატარდა საგაზაფხულო და საშემოდგომო ტურნირები, ჩართულია 200-მდე სტუდენტი. გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცათ თასი, სერტიფიკატები, წიგნები და მოეწყო ექსკურსია.
- **კინომოყვარულთა კლუბი** - გაიმართა 10-მდე ფილმის ჩვენება-დისკუსია, რომლებსაც 150-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო.
- **მხიარულთა და საზრიანთა კლუბი** - დეპარტამენტის მხარდაჭერით 2025 წელს მხიარულთა და საზრიანთა კლუბმა მოიპოვა გამარჯვება.
- **ლიმინალი** - დეპარტამენტის მხარდაჭერით დაფუძნდა კლუბი ლიმინალი, რომელიც ყოველთვიურად ატარებს ფსიქოლოგიურ პოდკასტებს, რომელთაც თავიანთ ფეისბუქ გვერდზე ათავსებენ.
- **ფილოსოფიის კლუბი** - ჩამოყალიბდა ფილოსოფიის კლუბი, რომელიც პერიოდულად მართავს შეხვედრა/დისკუსიებს სხვადასხვა თემაზე.
- დეპარტამენტმა 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებისთანავე გამართა საინფორმაციო შეხვედრები პირველკურსელებთან (500-ზე მეტი სტუდენტი)
- **სტიპენდიები და ფინანსური შეღავათები** - 2025 წელს სხვადასხვა სტიპენდია მიიღო სულ 836-მა სტუდენტმა. ფინანსური შეღავათი- 66-მა სტუდენტმა.
- 2025 წელს ბსუ-ს **6 შშმ სტუდენტი გათავისუფლდა** სწავლის საფასურიდან.
- საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლება ეტაპობრივად მიენიჭა **134** სტუდენტს
- **კულტურისა და სპორტის განყოფილების ორგანიზებითა და ხელშეწყობით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:**

სტუდენტური თეატრალური დასი „თეატრონი“: დასმა 2025 წელს წარმოადგინა სპექტაკლი „კურიერი“.

გასტროლით იმყოფებოდა ქ. თბილისში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ნილაბი 2025“-ზე.

მუსიკალური ჯგუფი "OFF SIDE": 2025 წლის დეკემბერში ბენდი გასტროლით იმყოფებოდა იაპონიის ქალაქ ტოკიოში მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში იაპონურ-ქართული კულტურის სადამოზე;

„სტუდფესტი 2025“ ფარგლებში მუსიკალური ბენდების კონკურსი: ბსუ-ს ბენდი OFF SIDE II ადგილი დაიკავა.

ქორეოგრაფიული ანსამბლი "ტბეთი": ანსამბლი მუშაობს ახალ რეპერტურზე, ახალი შემადგენლობით.

- **გოგონების ფოლკლორული ანსამბლი „თირინი“:** ანსამბლი მონაწილეობდა „სტუდფესტი 2025“ კონკურსში, კონკურს-ფესტივალში "ჰარიდა" სადაც მოიპოვა გრან-პრი.
- **ბსუ-ს საფეხბურთო გუნდი „ბსუ“:** გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარებულ რეგიონული ლიგის (გ) ჩემპიონატში და საქართველოს დავით ყიფიანის თასის გატამაშებაში.
- **„ბსუ-ს სტუდენტური დღეები 2025“**- 700-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, 20-მდე სახეობაში გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და თასებით.
- **“მინი ფეხბურთის საუნივერსიტეტო ლიგა“** მონაწილეობდა 24 გუნდი და 200-ზე მეტი სტუდენტი.
- **ფეხბურთის ლიგა.** ჩართულია რვა გუნდი, სულ 80-მდე სტუდენტი.

